



Cat® S41 სმარტფონი
მომხმარებლის სახელმძღვანელო

გთხოვთ, პირველად გამოყენებამდე წაიკითხეთ უსაფრთხოების ზომები

- ამ მოწყობილობის სწორი გამოყენების უზრუნველსაყოფად, გთხოვთ წაიკითხოთ ეს სახელმძღვანელო და რეკომენდებული უსაფრთხოების ზომები.
- მიუხედავად მისი თანდაყოლილი გამძლეობისა: მოერიდეთ მოწყობილობის დარტყმას, სროლას, ჭყლეტას, გახვრეტას ან გადაღუნვას.
- მარილიან წყალში გამოყენების შემთხვევაში, გადაავლეთ წყალი მოწყობილობას მარილის კოროზიის თავიდან ასაცილებლად.
- ნუ შეეცდებით თქვენი მობილური ტელეფონის ან მისი აქსესუარების დაშლას. მხოლოდ კვალიფიციურ პერსონალს შეუძლია მისი მხარდაჭერა ან შეკეთება.
- არ ჩართოთ მოწყობილობა იმ დროს, როდესაც მობილური ტელეფონების გამოყენება აკრძალულია ან ისეთ სიტუაციაში, როდესაც მოწყობილობამ შეიძლება გამოიწვიოს დაბრკოლება ან საფრთხე.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა ტარების დროს.
- გამორთეთ მოწყობილობა სამედიცინო აპარატურასთან სიახლოვის დროს და დაიცავით საავადმყოფოებსა და ჯანდაცვის ობიექტებში მობილური მოწყობილობების გამოყენების წესები.
- თვითმფრინავში ყოფნის დროს, გამორთეთ მოწყობილობა ან გააქტიურეთ თვითმფრინავის რეჟიმი, რადგან შეიძლება თვითმფრინავის საკონტროლო მოწყობილობა გააფუჭოს.
- გამორთეთ მოწყობილობა მაღალი სიზუსტის ელექტრონული მოწყობილობების მახლობლად ყოფნისას, რადგან მან შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ ფუნქციონირებაზე.
- ნუ განათავსებთ თქვენს მობილურ ტელეფონს ან მის აქსესუარებს ძლიერ ელექტრომაგნიტური ველის მქონე კონტეინერში.
- ნუ განათავსებთ მაგნიტური ველის მატარებელ ხელსაწყოს თქვენს მობილურ ტელეფონთან ახლოს. მოწყობილობიდან გამოცემულმა რადიაციამ შეიძლება წაშალოს ინფორმაცია, რომელიც მასში ინახება.
- ნუ გამოიყენებთ მოწყობილობას აალეზაჟი გაზის მქონე გარემოში, ისეთში, როგორიცაა ბენზინგასამართი სადგური, ნურც მაღალ ტემპერატურულ ადგილას მოათავსებთ მას.
- შეინახეთ მობილური ტელეფონი და მისი აქსესუარები ბავშვებისაგან მოშორებით.
- არ მისცეთ უფლება ბავშვებს გამოიყენონ თქვენი მობილური ტელეფონი მითითებების გარეშე.
- გამოიყენეთ მხოლოდ ნებადართული ბატარეები და დამტენები რათა თავიდან აიცილოთ აფეთქებების რისკი.
- დაიცავით ყველა კანონი და წესი უსადენო მოწყობილობების გამოყენებასთან დაკავშირებით. უსადენო მოწყობილობის გამოყენების დროს, პატივი ეცით სხვა ადამიანების კონფიდენციალურობასა და კანონით გათვალისწინებულ უფლებებს.
- სამედიცინო იმპლანტატების (გულის, ინსულინის, და ა.შ.) მქონე პაციენტის შემთხვევაში, დაიჭირეთ მობილური ტელეფონი იმპლანტიდან 15სმ-ის დაშორებით და დარეკვისას გეკავოთ ტელეფონი იმპლანტის მოპირდაპირე მხარეს.
- მკაცრად დაიცავით ამ სახელმძღვანელოს შესაბამისი ინსტრუქციები USB კაბელის გამოყენებისას, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს თქვენი მოწყობილობის ან კომპიუტერის დაზიანება.

იურიდიული ცნობა

© 2017 Caterpillar. ყველა უფლება დაცულია. CAT, CATERPILLAR, BUILT FOR IT, მათი შესაბამისი ლოგოები, "Caterpillar Yellow," "Power Edge"-ის სავაჭრო ვიზუალური მახასიათებელი ისევე როგორც კორპორატიული და პროდუქტის იდენტობა რომელიც გამოიყენება შემდეგში, წარმოადგენს Caterpillar-ის სავაჭრო ნიშნებს და არ შეიძლება იყოს გამოყენებული ნებართვის გარეშე. Bullitt Mobile Ltd წარმოადგენს Caterpillar Inc-ის ლიცენზიატს.

Bullitt Mobile Ltd.-ისა და მესამე მხარის სავაჭრო ნიშნები წარმოადგენს მათი შესაბამისი მფლობელების საკუთრებას.

Caterpillar Inc-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება ამ დოკუმენტის არც ერთი ნაწილის რეპროდუცირება ან ნებისმიერი სახით ან საშუალებით გადაცემა.

პროდუქტი რომელიც აღწერილია ამ სახელმძღვანელოში შეიძლება შეიცავდეს შესაძლო ლიცენზორებს და პროგრამას რომლის საავტორო უფლებებიც არის დაცული. მომხმარებლებმა არ უნდა მოახდინონ, აღნიშნული პროგრამის ან ტექნიკის ნებისმიერი სახით რეპროდუცირება, გავრცელება, ცვლილებები, დეკომპილაცია, დაშლა, გაშიფვრა, ექსტრაქტი, რევერსული ინჟინირება, იჯარით გაცემა, გასხვისება ან სუბლიცენზია. ზემოაღნიშნული შეზღუდვები დასაშვებია თუ ასეთი შეზღუდვები აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობით ან თუ ამგვარი ქმედება დაშვებულ იქნა ლიცენზიის მქონე შესაბამისი საავტორო უფლებების მფლობელების მიერ.

The Bluetooth® სიტყვის ნიშნები და ლოგოები რეგისტრირებული სავაჭრო ნიშნებია, რომელიც ეკუთვნის Bluetooth SIG, Inc.-ს და მათი ნებისმიერი სახით გამოყენება Bullitt Group-ის მიერ არის ლიცენზირებული. ყველა სხვა მესამე მხარის სავაჭრო ნიშნები და სახელები ეკუთვნის შესაბამის მფლობელებს.

Wi-Fi® წარმოადგენს Wi-Fi Alliance®-ის რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშანს.

შენიშვნა

პროდუქტისა და მისი აქსესუარების ზოგიერთი თვისებები რომელიც აღწერილია აქ გამომდინარეობს პროგრამის დამონტაჟებიდან, ადგილობრივი ქსელის შესაძლებლობებისა და პარამეტრებისაგან და შესაძლებელია არ ამოქმედდეს ან შეიძლება შეიზღუდოს ადგილობრივი ქსელის ოპერატორების ან ქსელის პროვაიდერის მიერ. ამდენად, სახელმძღვანელოში მოცემული აღწერილობა შეიძლება ზუსტად არ დაემთხვეს პროდუქტს ან მის აქსესუარებს რომელიც თქვენ შეიძინეთ.

მწარმოებელი იტოვებს უფლებას, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების ან ვალდებულების გარეშე, შეცვალოს ან შეასწოროს ნებისმიერი ინფორმაცია ან სპეციფიკაცია რომელიც მოცემულია სახელმძღვანელოში.

მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პროდუქციის კანონიერებასა და ხარისხზე, რომელსაც თქვენ ატვირთავთ ან ჩამოტვირთავთ ამ მობილური ტელეფონის მეშვეობით, მათ შორის, ტექსტზე, სურათებზე, მუსიკაზე, ფილმებსა და პროგრამებზე რომლებიც პროდუქტში არ არიან ინტეგრირებული და რომლებიც დაცულნი არიან საავტორო უფლებებით. პასუხისმგებელი პირი იმ შედეგებზე რომლებიც წარმოიქმნება ზემოაღნიშნული პროდუქციის ამ მობილურ ტელეფონში დამონტაჟებით ან გამოყენებით ხართ თქვენ.

არანაირი გარანტია

ამ სახელმძღვანელოს შინაარსი მოწოდებულია, "როგორც არის". გარდა იმ შემთხვევებისა რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, არ არსებობს არანაირი სახის გარანტია ამ სახელმძღვანელოს სიზუსტესთან, საიმედოობასთან და შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება იყოს გამოხატული ან ნაგულისხმევი, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, ნაგულისხმევი გარანტიები გაყიდვის უნარიანობისა და ვარგისიანობისა კონკრეტული მიზნებისთვის.

მაქსიმალურ დონეზე, რომელიც ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით, მწარმოებელი არავითარ შემთხვევაში არ აგებს პასუხს ნებისმიერ სპეციალურ, შემთხვევით, არაპირდაპირ ან შედეგობრივ ზიანზე, ან განაცდურზე, ბიზნესზე, შემოსავლებზე, მონაცემებზე, კეთილ ნებაზე ან მოსალოდნელ დანაზოგებზე.

იმპორტისა და ექსპორტის რეგულაციები

მომხმარებლებმა უნდა დაიცვან ყველა საექსპორტო თუ საიმპორტო კანონები და წესები. მომხმარებლებმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი სახელმწიფო ნებართვა და ლიცენზიები ამ სახელმძღვანელოში აღნიშნული პროდუქტის ექსპორტის, რეექსპორტის ან იმპორტისათვის, მათ შორის, პროგრამებისა და ტექნიკური მონაცემების ჩათვლით.

სარჩევი

გთხოვთ, პირველად გამოყენებამდე წაიკითხეთ უსაფრთხოების ზომები	2
იურიდიული ცნობა	3
შენიშვნა	3
არანაირი გარანტია	3
იმპორტისა და ექსპორტის რეგულაციები	3
CAT® S41 სმარტფონის წინასიტყვაობა	6
გამმლეობის რწმუნება	6
რა არის ყუთში	7
დილაკთა ფუნქციები	7
დასაწყისი	8
ნაწილი SIM ბარათის დაყენება	8
მეხსიერების ბარათის დაყენება	8
ბატარეის დატენვა	8
ბატარეის გაზიარება	9
ბატარეის გამოყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია	9
თქვენი მოწყობილობის ჩართვა/გამორთვა	9
სენსორული ეკრანი	10
საწყისი ეკრანი	10
ეკრანის ჩაკეტვა და გახსნა	10
გამოსახულება	11
შეტყობინების პანელი	12
მალსახმობი იკონები	12
ვიჯეტები	12
საქადალდეები	13
ეკრანის ფონები	13
მედია ფაილების გადაწერა თქვენს მობილურში და თქვენი მობილურიდან	13
თვითმფრინავის რეჟიმის გამოყენება	13
მოწყობილობა	14
ზარის განხორციელება	14
ვიჯეტები	14
კონტაქტები	15

WI-FI®	17
SMS და MMS	18
BLUETOOTH®	19
ფოტოების გადაღება და ვიდეოს ჩაწერა	20
FM რადიოს მოსმენა	22
ინფორმაციის სინქრონიზაცია	22
სხვა აპლიკაციების გამოყენება	23
მოწყობილობის მართვა	25
მოწყობილობის დაცვა	27
NFC-ის გამოყენება	27
აპლიკაციების მართვა	28
მოწყობილობის გადატვირთვა	28
აპარატურის გადატვირთვა	29
E-LABEL-ის დათვალიერება	29
დანართი	30
კანადის ინდუსტრიის ფორმულირება	34
ინფორმაცია რადიოტალღების გამოსხივებაზე (SAR)	35
სმენის დაკარგვის პრევენცია	35
APAC CE SAR შესაბამისობა	35
გადაყრისა და გადამუშავების ინფორმაცია	36
GOOGLE-ზე სამართლებრივი ატრიბუცია	37
S41 სპეციფიკაცია	37
განაცხადი შესაბამისობის შესახებ (SS)	38
განაცხადი შესაბამისობის შესახებ (DS)	39

CAT® S41 სმარტფონის წინასიტყვაობა

გამძლე სმარტფონი ხანგრძლივი ბატარეის სიმძლავრით, რომელსაც მისი ბატარეის გაზიარების ფუნქციით სხვა მოწყობილობებისა და აქსესუარების დატენვაც კი შეუძლია. შეიქმნა, რათა ყოველდღე გაუმკლავდეს თქვენს წინაშე არსებულ უკიდურეს პირობებს მუშაობისა და თამაშის დროს. დააგდეთ ძირს, ჩააგდეთ წყალში, ან არ დატვირთოთ - Cat® S41 არ გიღალატებთ.

შენი სმარტფონი არ მხოლოდ სერტიფიცირებულია უმაღლესი ხარისხის სტანდარტების გამძლეობით, MIL SPEC 810G-ის და IP68-ის წყლის და მტვერის გამძლეობით, არამედ ის ასევე გამოირჩევა ისეთი შესაძლებლობებით, რომლებიც ტესტების მიღმა აღწევენ. გამძლეობის დადასტურება ბეტონზე დაგდებით 1.8 მეტრის შთამბეჭდავი სიმაღლიდან, საკმაოდ რთული გამოცდა, რომ გაუძლოს თერმულ შოკებსა და მარილის შემხეფებას, წყალგაუმტარი 2 მეტრის სიღრმეში 60 წუთის განმავლობაში და აქვს წყლის ქვემოთ სურათებისა და ვიდეოების გადაღების საშუალება. Cat S41 არ გაითიშება, და არა აქვს მნიშვნელობა ცხოვრება რა ვარამს მოუტანს მას.

Cat S41 არის პრაქტიკული სმარტფონი, რომელიც შედგენილია ნამდვილად სასარგებლო ფუნქციებით, რათა მაქსიმალურად მეტად პროდუქტიული დღე გქონდეთ. მისი ბატარეის მაღალი სიმძლავრე და 128 გბ-ის გაზრდადი მეხსიერება, გარანტიას გაძლევთ, რომ ყოველდღიური პროდუქტიულობა, ვებ გვერდების დათვალიერება, გზავნილების გაგზავნა, მუსიკის მოსმენა და სხვა ეჭვქვეშ არ დადგება. მისი დიდი და ნათელი, გაფხაჭვნისგან გამძლე, 5"-იანი, ზემადალი მკაფიოობის მქონე გამოსახულების წაკითხვა შეიძლება პირდაპირ მზის შუქზეც და შეიძლება გამოყენებულ იქნას მაშინაც, როდესაც სველია ან როცა ხელთათმანები გიკეთიათ. ასევე, მისი ადვილად მოსახერხებელი დიზაინი გთავაზობთ მრავალფუნქციურ პროგრამირებად დილაკს - გამოიყენება 'ერთ დილაკზე დაჭრით დალაპარაკებისთვის' (Push to Talk (PTT)), ან ფანრის ან კამერის ადვილად ჩასართავად.

გამძლეობის რწმუნება

თქვენი მოწყობილობის ძირს დავარდნა:

- ნებადართულია: გამოიყენოთ თქვენი მოწყობილობა 1.8 მეტრის სიმაღლეზე - ამ სიმაღლეზე გამოცდილია, რომ ის არ ფუჭდება.
- არ შეიძლება: მოისროლოთ თქვენი მოწყობილობა ძალით 1.8 მეტრის სიმაღლეზე მაღლიდან. მოწყობილობა გამძლეა, მაგრამ არა დაუსლელი.

წყალგაუმტარობა:

- ნებადართულია: გამოიყენოთ თქვენი მოწყობილობა ნესტიან და სველ პირობებში - 5"-იანი მრავალ-სენსორული ეკრანი სველი თითებითაც მუშაობს. დარწმუნდით, რომ ყველა კომპონენტი და საფარი შესაბამისად არი დახურული სანამ მოწყობილობას წყალში გამოიყენებდეთ. მოწყობილობას შეუძლია გაუძლოს 2 მეტრის სიღრმეს 1 სთ-ის განმავლობაში.
- არ შეიძლება: დაგავიწყდეთ თქვენი მოწყობილობის კომპონენტების დახურვა წყალში გამოყენებამდე ან იმ შემთხვევაში თუ მის გამოყენებას 2 მეტრის სიღრმის მიღმა აპირებთ.

მტვერგაუმტარი და უფხაჭვნელი:

- ნებადართულია: გამოიყენოთ თქვენი მოწყობილობა ბინძურ, მტვირან გარემოში. Cat S41 არის სერტიფიცირებული IP68, გამძლეობის სტანდარტის ინდუსტრიული საზომი და მისი ეკრანი შედგება უფხაჭვნელი Corning® Gorilla® Glass 5-ისაგან.

ექსტრემალური ტემპერატურა:

- ნებადართულია: გამოიყენოთ თქვენი მოწყობილობა ტემპერატურულ დიაპაზონში -20° C-დან 55° C-მდე. მას ასევე შეუძლია გაუძლოს ტემპერატურის უკიდურეს ცვლილებებს: ცივიდან ცხელს, ან პირიქით.
- არ შეიძლება: გამოიყენოთ თქვენი აპარატი მოქმედების დიაპაზონის გარეთ -20° C-დან + 55° C-მდე - ის არ არის შექმნილი, რომ გაუძლოს უფრო ცივს ან უფრო ცხელს.

რა არის ყუთში

- მოწყობილობა
- სწრაფი დაწყების მეგზური
- USB დენის კაბელი და დატენვის ადაპტერი
- დენის გაზიარების კაბელი
- მოწყობილობაზე, ქარხნულად უკვე დამონტაჟებული ეკრანის დამცავი



1. ყურსასმენის შესაერთებელი ბუდე
2. 8მპ წინა კამერა
3. სასმენი
4. მიკროფონები
5. ბოლო აპების ღილაკი
6. დინამიკები
7. მთავარი გვერდის ღილაკი
8. უკან დაბრუნების ღილაკი
9. პროგრამირებადი ღილაკი
10. SIM ბარათის ჩასადები
11. MICROSD ბარათის ჩასადები
12. 13მპ იშვიათი კამერა
13. ელვა
14. USB-ის შესაერთებელი
15. ხმის ასაწევ/დასაწევი ღილაკი
16. ჩართვის ღილაკი

ღილაკთა ფუნქციები

ჩართვის ღილაკი

- დააჭირეთ, რომ ჩართოთ მოწყობილობა
- დააჭირეთ და გეგონდეთ დაჭერილი, რომ გახსნათ ტელეფონის პარამეტრების მენიუ.
- დააჭირეთ, რომ ჩაკეტოთ ან ჩართოთ ეკრანი როდესაც მობილური ტელეფონი ჩამქვრალ მდგომარეობაშია.

მთავარი გვერდის ღილაკი

- დააჭირეთ ნებისმიერ დროს რომ გამოჩნდეს საწყისი ეკრანი.
- გეგიროთ მთავარი ღილაკი, რომ გამოიყენოთ თქვენი Google ასისტენტი

ბოლო აპების ღილაკი

- დააჭირეთ ნებისმიერ დროს, რომ გახსნათ ბოლო ხანს გამოყენებული აპები

უკან დაბრუნების ღილაკი

- დააჭირეთ, რომ წინა ეკრანზე დაბრუნდეთ
- დააჭირეთ, რომ დახუროთ ეკრანის კლავიატურა.


ხმის ასაწევ/დასაწევი ღილაკი

- ხმა - დააჭირეთ ხმის ასაწევ ღილაკს რათა აუწიოთ ხმას ან ხმის დასაწევ ღილაკს რათა დაუწიოთ ხმას, ზარის მელოდიას, აუდიო-ვიდეოს ან მაღვიძარას
- ეკრანის ანაბეჭდი - დააჭირეთ ორივეს ჩართვის და ხმის დაწევის ღილაკებს ერთდროულად
- როდესაც კამერის აპი გაქვთ ჩართული, დააჭირეთ ხმის ასაწევ/დასაწევ ღილაკს, რომ გადაიღოთ სურათები.

დასაწყისი

ნანო SIM ბარათის დაყენება

1. მოათავსეთ თქვენი მოწყობილობა ბრტყელ ზედაპირზე ეკრანით ქვემოთ. შემდეგ გახსენით გვერდითა კარი.
2. გამოიღეთ SIM პანელი თითები.
3. განათავსეთ ნანო SIM ბარათი SIM პანელში ისე, როგორც მითითებულია პანელის მითითებებში, ანუ ოქროს ფერი თავები მოაქციეთ ზემოთ.
4. შესვით უკანვე SIM ბარათის პანელი.




შენიშვნა:

- დარწმუნდით, რომ SIM ბარათი უსაფრთხოდ არის მოთავსებული SIM პანელში.
- შეაჭირეთ SIM პანელს მანამ, სანამ იგი სრულად არ ჩაისმება სლოტში.
- იმისათვის, რომ ამოიღოთ ნანო SIM ბარათი, გამოიყენეთ თითები, რათა გამოიღოთ პანელი. შემდეგ ამოიღეთ ნანო SIM ბარათი.

მეხსიერების ბარათის დაყენება

1. მოათავსეთ თქვენი მოწყობილობა ბრტყელ ზედაპირზე ეკრანით ქვემოთ. შემდეგ გახსენით გვერდითა კარი.
2. ჩადეთ microSD ბარათი მეხსიერების ბარათის სლოტში ისე რომ ოქროს ფერი თავები მოაქციოთ ზემოთ.



შენიშვნა:

- შეაჭირეთ მეხსიერების ბარათს მანამ, სანამ არ გაიგებთ ჩაკეტვის ხმას.
- იმისათვის, რომ ამოიღოთ microSD ბარათი, შეაჭირეთ მეხსიერების ბარათს და გამოანთავისუფლოთ ის.
- ნუ დაატანთ ძალას microSD ბარათს, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს მეხსიერების ბარათი ან სლოტი.


ბატარეის დატენვა

დატენეთ ბატარეა თქვენი აპარატის პირველად გამოყენებამდე.

1. შეაერთეთ USB დენის კაბელი დატენვის ადაპტერზე.

შენიშვნა:

- გამოიყენეთ მხოლოდ Cat-ის მიერ დამტკიცებული დამტენები და კაბელები. გაუთვალისწინებელმა აღჭურვილობამ შესაძლოა გამოიწვიოს მოწყობილობის დაზიანება ან ბატარეების აფეთქება.
- 2. გახსენით USB შესაერთებელი და შეაერთეთ USB კაბელი USB შესაერთებელში.



შენიშვნა:

- ფრთხილად, არ გამოიყენოთ USB კაბელის შეერთებისას გადაჭარბებული ძალა და იცოდეთ შესაერთებლის სწორი ორიენტაცია.
 - კონტაქტორის არასწორად მიერთებამ შეიძლება ისეთი ზიანი გამოიწვიოს, რომელსაც გარანტია არ ფარავს.
3. შეაერთეთ დამტენი სათანადო AC დენის შესაერთებელში.
 4. როდესაც მწვანე LED შუქი აინთება, ეს მიანიშნებს, რომ თქვენი მოწყობილობა სრულად არის დატენილი. პირველ რიგში, გამოაძვრეთ USB კაბელი მოწყობილობიდან, შემდეგ გამოაძვრეთ დამტენი დენის შესაერთებლიდან.

ბატარეის გაზიარება

Cat S41-ს გააჩნია ძალიან დიდი 5000 mAh ბატარეა, რაც საკმარისია საიმისოდ, რომ 44 დღის განმავლობაში 3G ლოდინის დროით ან 38 საათის განმავლობაში 3G ლაპარაკის დროით გაძლოს. მისი ბატარეის გაზიარების ფუნქციით, მას ასევე შეუძლია დატენოს სხვა მოწყობილობები და აქსესუარები.

USB ბატარეის გაზიარების კაბელის გამოყენებით, თქვენი მოწყობილობა შესაძლოა გარდაიქმნას ენერჯის აკუმულატორად. თქვენ შეგიძლიათ დატენოთ სხვა მოწყობილობა და აირჩიოთ ბატარეის ის დონე, რომლის გსურთ, რომ მოიტვოთ საკუთარი თავისთვის, 'ადვილად გამოყენების' ფუნქციით, რომელიც აპლიკაციაში სლაიდერის კონტროლის სახითაა წარმოდგენილი.

შენიშვნა:

- იმ შემთხვევაში თუ თქვენს მოწყობილობას 20%-ზე ნაკლები ბატარეა აქვს და შეაერთებთ ბატარეის გაზიარების კაბელს ან გახსნით ბატარეის გაზიარების აპლიკაციას, ეკრანზე გამოვა გზავნილი ტექსტით: "ბატარეის დონე ძალიან დაბალია იმისათვის, რომ გამოიყენოთ ბატარეის გაზიარების ფუნქცია." აირჩიეთ OK, რომ დატენოთ მოწყობილობა გაზიარების ლიმიტის გარეშე.

როდესაც მოწყობილობა, რომლის დატენვასაც ცდილობთ მთლიანად დატენილია, ან როდესაც თქვენი წინასწარ დაყენებული ლიმიტი ამოიწურება, ის უბრალოდ შეწყვეტს დატენვას - რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ არ ინერვიულოთ, ზედამხედველობა არ არის საჭირო.

ბატარეის გამოყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია

თუ ბატარეა მთლიანად გამოლეულია, თქვენი აპარატი შეიძლება არ გაიხსნას მყისიერად შტეფცელში შეერთების შემდეგ. სანამ შეეცდებით ჩართვას, დააცადეთ ბატარეას დაიტენოს რამდენიმე წუთით. ამ პერიოდში, დატენვის ანიმაცია შეიძლება არ გამოჩნდეს ეკრანზე.

როდესაც ბატარეის დონე დაბალია, ტელეფონი გამცნობთ ხმოვანი გაფრთხილებით და LED ინდიკატორი ანთებს წითელს. როდესაც ბატარეა თითქმის დამუდარია, თქვენი ტელეფონი ავტომატურად გამოირთვება.

შენიშვნა: ბატარეის დასატენად საჭირო დრო, დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურასა და ბატარეის სიძველეზე.

თქვენი მოწყობილობის ჩართვა/გამორთვა

ჩართვა

1. დააჭირეთ ჩართვის ლილავს .

თქვენი მოწყობილობის პირველად ჩართვისას, გამოჩნდება მისალმების ეკრანი. პირველ რიგში, აირჩიეთ სასურველი ენა და შემდეგ დააჭირეთ 'დაწყებას', რომ გააგრძელოთ დაყენების პროცესი.

შენიშვნა:

- საჭიროა Wi-Fi ან მონაცემთა კავშირი. თქვენ შეგიძლიათ გამოტოვოთ დაყენების სტადია და შეავსოთ იგი სხვა დროს. თუმცა, Google-ის ანგარიში საჭიროა, რომ ამ ანდროიდის მოწყობილობის საშუალებით, Google-ის მიერ შეთავაზებული ზოგიერთი სერვისის გამოყენება შეძლოთ.

გამორთვა

1. დააჭირეთ და არ აუშვათ გამორთვის ღილაკი რომ გახსნათ ტელეფონის პარამეტრების მენიუ.
2. შეეხეთ გამორთვას.

სენსორული ეკრანი

სენსორული ეკრანის მოქმედებები

- შეხება: შეეხეთ თითის გამოყენებით რომ აირჩიოთ ობიექტი, დაადასტუროთ თქვენი არჩევანი, ან გახსენით ეკრანზე მოცემული აპლიკაცია.
- შეეხეთ და არ აუშვათ: შეეხეთ ობიექტს თითით და არ აუშვათ მანამ, სანამ ეკრანიდან რეაგირებას არ მიიღებთ. მაგალითად, იმისათვის რომ გახსნათ პარამეტრების მენიუ, შეეხეთ გახსნილ ეკრანს და არ აუშვათ მანამ, სანამ მენიუ არ გამოვა.
- გაასრიალეთ: ამოძრავით თითი მთელს ეკრანზე, ან ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად. მაგალითად, გაასრიალეთ თითი მარცხნივ ან მარჯვნივ, რომ გადაშალოთ სურათები.
- გადატანა: თუ გსურთ ობიექტის გადაადგილება, შეეხეთ თითით და არ აუშვათ. ახლა შეგიძლიათ გადაიტანოთ ობიექტი ეკრანის ნებისმიერ ნაწილში.

საწყისი ეკრანი

საწყისი ეკრანი არის მოწყობილობის ფუნქციების წვდომის საწყისი წერტილი. მასზე გამოსახულია აპლიკაციების იკონები, ვიჯეტები, მალსახმობები და სხვა. მასზე შესაძლებელია დაიდოს სხვადასხვა ფონები და შეიძლება ისე მოეწყოს, რომ შედგებოდეს თქვენთვის სასურველი ობიექტებით.

1. ჩამრთველის იკონია . შეეხეთ მას რომ ნახოთ და ჩართოთ დაყენებული აპლიკაციები (აპები).

შენიშვნა:



- საწყის ეკრანზე, ცარიელ სივრცეში ხანგრძლივი დაჭერა ჩართავს ეკრანის ფონს, ვიჯეტების და პარამეტრების მალსახმობებს.

ეკრანის ჩაკეტვა და გახსნა

ეკრანის ჩაკეტვა

1. თუ თქვენი მობილური ჩართულია, დააჭირეთ ჩართვის ღილაკს რომ ჩაკეტოთ ეკრანი. თქვენ კვლავ შეგეძლებათ შეტყობინებებისა და ზარების მიღება, მაშინაც კი, თუ ეკრანი ჩაკეტილია.
2. თუ მოწყობილობა დიდი ხნით ხელუხლებელი დარჩა, ეკრანი ავტომატურად დაიბლოკება. ამ პერიოდის სიხანგრძლივე შეგიძლიათ განსაზღვროთ პარამეტრების მეშვეობით.

ეკრანის გახსნა

1. დააჭირეთ ჩართვის ღილაკს, რომ ჩართოთ ეკრანი. შემდეგ, დაბლოკვის იკონი  თითით გაასრიალეთ ზემოთ, რომ გახსნათ ეკრანი. თქვენ შეიძლება დაჭირდეთ დაბლოკვის ფიგურული კოდის ან PIN კოდის შეყვანა, თუ ისინი წინასწარ გაქვთ დაყენებული.
2. კამერის აპის პირდაპირ დაბლოკილი ეკრანიდან ჩასართველად, გადაასრიალეთ კამერის იკონი  ზემოთ.

შენიშვნა:

- შეგიძლიათ ეკრანის ჩართვა მთავარ ღილაკზე ორჯერ დაჭერით. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის ნახეთ “ორმაგი შეხებით ჩართვის ფუნქციის გამოყენება” გვერდი 26.
- თუ თქვენი კონფიდურაციის მიხედვით ეკრანი იბლოკება, თქვენ მოგეთხოვებათ გახსნათ ეკრანი. დეტალებისთვის, იხილეთ ‘მობილური ტელეფონის დაცვა რომელიც ეკრანის ჩაკეტვას იყენებს’, გვერდი 27.

ჩვენება

ჩვენების განლაგება

შეტყობინებები და ინფორმაცია სტატუსზე

სტატუსის ზოლი, ყველა ეკრანის პირობებში ჩანს ზემოთ. აქ, მიმდინარე დროსთან ერთად, გამოდის გზავნილების იკონები, ისეთი როგორცაა გამოტოვებული ზარები ან მიღებული მესიჯი (მარცხნივ) და ტელეფონის სტატუსის იკონები, ისეთი როგორცაა ელემენტის მდგომარეობა (მარჯვნივ).



შეტყობინებათა ზოლი

სტატუსის იკონი

სტატუსის იკონი

4G	4G მობილურ ქსელთან კავშირი არის		სიგნალი არ არის
LTE	LTE მობილურ ქსელთან კავშირი არის		ვიბრაციის რეჟიმი
3G	3G მობილურ ქსელთან კავშირი არის		ადგილმდებარეობა ნაპოვნია
G	GPRS მობილურ ქსელთან კავშირი არის		ბატარეის მაჩვენებელი, ბატარეა სავსეა
E	EDGE მობილურ ქსელთან კავშირი არის		ბატარეა იტენება
H	HSDPA მობილურ ქსელთან კავშირი არის		FM რადიო ჩართულია
H+	HSPA+ მობილურ ქსელთან კავშირი არის		თვითმფრინავის რეჟიმი
R	როუმინგი		Wi-Fi ინტერნეტ კავშირი არის
	მობილური ქსელის სიგნალის სიძლიერე		ბლუთუზის მოწყობილობასთან კავშირი არის

შეტყობინების იკონები

	ახალი ელ-ფოსტის გზავნილი		გამოტოვებული ზარი
	ახალი ტექსტ მესიჯი		სპიკერფონი გააქტიურებულია
	მოახლოებული ღონისძიება		ტელეფონის მიკროფონი გათიშულია
	მადვიძარა დაყენებულია		მონაცემების ჩამოტვირთვა
	მიმდინარეობს მონაცემთა სინქრონიზაცია		ყურსასმენები დაკავშირებულია
	შესვლის ან სინქრონიზაციის პრობლემა		სქრინშოტი აღებულია

შეტყობინების პანელი

თქვენი მოწყობილობა მოგვცემთ შეტყობინებას, როდესაც მიიღებთ ახალ შეტყობინებას, გექნებათ გამოტოვებული ზარი, ან როცა იქნება დაგეგმილი ღონისძიება და სხვა. გახსენით შეტყობინების პანელი, რომ ნახოთ თქვენი შეტყობინება.

შეტყობინების პანელის გახსნა


1. როდესაც შეტყობინების ზოლში გამოჩნდება ახალი შეტყობინების იკონი, შეეხეთ შეტყობინების ზოლს, შემდეგ ჩამოასრიალეთ თითოთი ქვემოთ, რომ გახსნათ შეტყობინების პანელი.
2. შეეხეთ საქალაქს, რომ გახსნათ ის.
3. იმისათვის, რომ დახუროთ შეტყობინება (ნახვის გარეშე), უბრალოდ შეეხეთ შეტყობინებას, არ აუშვათ და გადაიტანეთ იგი ეკრანის მარცხნივ/მარჯვნივ.

შეტყობინების პანელის დახურვა

1. იმისათვის, რომ დახუროთ შეტყობინების პანელი, გაასრიალეთ პანელის ბოლო ნაწილი ქვემოდან ზემოთ.

მალსახმობი იკონები

ეკრანზე ახალი მთავარი ეკრანის ობიექტის დამატება

1. მთავარ ეკრანზე, შეეხეთ  რომ იხილოთ ყველა აპლიკაცია.
2. გადაიტანეთ აპლიკაციის იკონი კონკრეტულ საწყის ეკრანზე.

მთავარი ეკრანის ობიექტის გადატანა

1. მთავარ ეკრანზე, შეეხეთ და არ აუშვათ აპლიკაციის იკონს მანამ, სანამ იკონი არ გადიდდება.
2. თითის აუშვებლად, გადაიტანეთ იკონი ეკრანის სასურველ ადგილას და შემდეგ აუშვით.

შენიშვნა:

- საწყის ეკრანზე, საჭიროა იყოს საკმარისი სივრცე, რომ დაატოთ იკონი პანელზე.

მთავარი ეკრანის ობიექტის მოხსნა

1. მთავარ ეკრანზე, შეეხეთ და არ აუშვათ აპლიკაციის იკონს მანამ, სანამ იკონი არ გადიდდება.
2. თითის აუშვებლად, გადაიტანეთ ობიექტი, რომ წაშალოთ და შემდეგ აუშვით.
3. ასევე, თქვენ შეგიძლიათ წაშალოთ აპლიკაციები ნაბიჯ 1 და ნაბიჯ 2-ზე მიყოლით და შემდეგ, გადაიტანოთ აპლიკაცია ზედა ეკრანზე არსებულ დეინსტალაციაში.

ვიჯეტები

ვიჯეტი საშუალებას გაძლევთ გადახედოთ ან გამოიყენოთ აპლიკაცია. ვიჯეტები შეგიძლიათ განათავსოთ მთავარ ეკრანზე იკონების ან გადახედვის ესკიზების სახით. რამდენიმე ვიჯეტი დაინსტალირებულია სტანდარტულად მოწყობილობაში და შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ დამატებითი ვიჯეტები Google Play-დან.

ვიჯეტის დამატება

1. შეეხეთ და არ აუშვათ მთავარ ეკრანს.
2. დააჭირეთ ვიჯეტებს, რათა ნახოთ ხელმისაწვდომი ვიჯეტები.
3. გადაასრიალეთ სასურველი ვიჯეტი მთავარ ეკრანზე.

ვიჯეტის წაშლა

1. საწყის ეკრანზე, შეეხეთ და არ აუშვათ ვიჯეტის იკონს მანამ, სანამ იკონი არ გადიდდება.
2. თითის აუშვებლად, გადაიტანეთ ობიექტი, რომ წაშალოთ და შემდეგ აუშვით.

საქალაქდებები

საქალაქდების შექმნა

გადაიტანეთ აპლიკაციის იკონი ან მალსახმობი და დაადეთ ის სხვა აპლიკაციებს.

საქალაქდებზე სახელის გადაკეთება

1. შეეხეთ საქალაქდს, რომ გახსნათ ის.
2. შეიტანეთ სათაურში საქალაქდის ახალი სახელი.
3. შემდეგ დააჭირეთ უკან დაბრუნების ღილაკს.

ეკრანის ფონები

ფონების შეცვლა

1. შეეხეთ და არ აუშვით მთავარ ეკრანს.
2. შეეხეთ ეკრანის ფონებს.
3. დასქროლეთ ხელმისაწვდომი პარამეტრები.
4. შეეხეთ თქვენს საყვარელ სურათს, შემდეგ დააჭირეთ ფონს.
5. ახლა თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ გინდათ თუ არა დააყენოთ, როგორც საკეტი ეკრანის ფონი, მთავარი ეკრანის ფონი თუ ორივე ერთად.

მედია ფაილების გადაწერა თქვენს მობილურში და თქვენი მობილურიდან

გადაიტანეთ თქვენი საყვარელი სიმღერები და სურათები მობილურ ტელეფონსა და კომპიუტერს შორის მედია მოწყობილობის MTP საშუალებით.


1. პირველ რიგში, შეაერთეთ თქვენი აპარატი კომპიუტერთან USB დენის კაბელით.
2. შემდეგ გახსენით შეტყობინების პანელი და შეეხეთ USB კავშირის პარამეტრებს. შეეხეთ ფაილის გადატანას, რომ ჩართოთ MTP.
3. თქვენი მოწყობილობა უნდა იყოს ნაჩვენები როგორც მოსახსნელი მოწყობილობა, რომელიც აჩვენებს ტელეფონის შიდა მეხსიერებას. თუ მეხსიერების ბარათი შეიყვანეთ, ასევე გამოჩნდება microSD ბარათი. დააკოპირეთ სასურველი ფაილი მოწყობილობაში.

შენიშვნა:

- თუ იყენებთ MAC PC-ს, დრაივერები უნდა გადმოტვირთოთ შემდეგი ბმულიდან: <http://www.android.com/filetransfer/>

თვითმფრინავის რეჟიმის გამოყენება

ზოგიერთ ადგილას შეიძლება საჭირო გახდეს გამორთოთ თქვენი ტელეფონის მონაცემების კავშირები. თქვენი ტელეფონის გათიშვის სანაცვლოდ, შეგიძლიათ ის გადაიყვანოთ თვითმფრინავის რეჟიმზე.

1. დააჭირეთ და არ აუშვით ჩართვის ღილაკს.
2. შეეხეთ თვითმფრინავის რეჟიმს.
3. ან, პარამეტრების მენიუს გამოყენებით, შეგიძლიათ აირჩიოთ 'მეტი' მენიუდან და გადაასრიალოთ თვითმფრინავის რეჟიმის შეცვლა მარჯვნივ .

შენიშვნა:

- თქვენ ასევე შეგიძლიათ მიიღოთ წვდომა თვითმფრინავის რეჟიმზე საწყისი ეკრანიდან შეტყობინების პანელის ქვემოთ ჩამოსრიალებით.

ზარის განხორციელება



არსებობს რამდენიმე გზა, რომ განახორციელოთ სატელეფონო ზარი.

1. ან, აკრიფეთ ნომერი კლავიატურაზე.
2. ან, შეარჩიეთ ნომერი თქვენი კონტაქტების სიიდან, ვებ გვერდიდან, ან დოკუმენტიდან, რომელიც შეიცავს ტელეფონის ნომერს.

შენიშვნა:

- როდესაც სატელეფონო ზარზე ხართ, შეგიძლიათ უპასუხოთ შემომავალ სატელეფონო ზარებს ან გაიგზავნოს ის თქვენს ხმოვან ფოსტაზე. თქვენ ასევე შეგიძლიათ დაგეგმოთ რამდენიმე მონაწილესაგან შემდგარი საკონფერენციო ზარები.




ნომრის ამკრეფით ზარის განხორციელება

1. საწყის ეკრანზე, შეეხეთ . შემდეგ შეეხეთ  რომ გამოაჩინოთ ნომრის ამკრეფი.
2. აკრიფეთ ტელეფონის ნომერი ციფრების აკრეფით.





რჩევა: თქვენს მოწყობილობას გააჩნია SmartDial ფუნქცია. როდესაც კლავიატურაზე ჩაწერეთ ნომერს, SmartDial-ის ფუნქცია ავტომატურად ამოძებნის თქვენს საკონტაქტო სიიდან ნომერს და გამოსახავს სავარაუდო კონტაქტებს, რომლებიც შესაბამისაა აკრეფილ ნომერს. შეგიძლიათ დახუროთ კლავიატურა, რომ ნახოთ უფრო მეტი დამთხვევები.

3. ნომრის აკრეფის შემდეგ, ან კონტაქტის შერჩევის შემდეგ, შეეხეთ .

კონტაქტებიდან დარეკვა

1. საწყის ეკრანზე, შეეხეთ  > კონტაქტებს  რომ გამოაჩინოთ კონტაქტების სია. კლავიატურაზე აკრიფეთ  დილაკი, რომ გამოიძახოთ კონტაქტების სია.
2. სიიდან შეარჩიეთ კონტაქტი.
3. შეეხეთ ტელეფონის ნომერს, რომ დარეკოთ მოცემულ კონტაქტზე.

დარეკვა დანარეკი ნომრების სიიდან

1. შეეხეთ  > ტელეფონი  >  ტაბს. დანარეკი ზარების სია გვიჩვენებს უახლეს ზარებს, რომლებიც განხორციელდა თქვენი მხრიდან და თქვენი მიმართულებით.
2. შეეხეთ სიაში მოცემულ კონტაქტს და დააჭირეთ  რომ განახორციელოთ ზარი.

ვიჯეტები







ვიჯეტი საშუალებას გაძლევთ გადახედოთ ან გამოიყენოთ აპლიკაცია. ვიჯეტები შეგიძლიათ განათავსოთ მთავარ ეკრანზე იკონების ან გადახედვის ესკიზების სახით. რამდენიმე ვიჯეტი დაინსტალირებულია სტანდარტულად მოწყობილობაში და შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ დამატებითი ვიჯეტები Google Play-დან.

ვიჯეტის დამატება

1. შეეხეთ და არ აუშვათ მთავარ ეკრანს.
2. დააჭირეთ ვიჯეტებს, რათა ნახოთ ხელმისაწვდომი ვიჯეტები.
3. გადაასრიალეთ სასურველი ვიჯეტი მთავარ ეკრანზე.

ზარზე პასუხი და ყურმილის გათიშვა

სატელეფონო ზარის მიღებისას, შემომავალი ზარის ეკრანზე გამოჩნდება დამრეკის ID.

1. ზარზე, საპასუხოდ შეეხეთ  და გადაასრიალეთ იგი მარჯვნივ .
2. ზარის გასათიშად, შეეხეთ  და გადაასრიალეთ იგი მარცხნივ .
3. იმისათვის, რომ გათიშოთ ზარი და ნაცვლად გააგზავნოთ შეტყობინება პირდაპირ დამრეკზე, შეეხეთ  იმისათვის, რომ გათიშოთ ზარი და ნაცვლად გააგზავნოთ შეტყობინება პირდაპირ დამრეკზე, შეეხეთ  შემდეგ შეარჩიეთ ერთ-ერთი წერილობითი შეტყობინების შაბლონი, ან შეეხეთ 'დაწერეთ საკუთარი', რომ შეადგინოთ საკუთარი შეტყობინება.

შენიშვნა:

- როდესაც ეხებით , ის ქრება ეკრანიდან.

ზარის დასრულება







ზარის დროს, შეეხეთ  რომ გათიშოთ.

სხვა ოპერაციები ზარის დროს

საკონფერენციო ზარის განხორციელება

კონფერენციის ფუნქციაში, შეგიძლიათ დააყენოთ ზარზე მრავალი მონაწილეს ჩართვის შესაძლებლობა.

შენიშვნა:

- მიმართეთ თქვენი ქსელის ოპერატორს, რომ გაიგოთ თქვენი გამოწერის ვარიანტი გაძლევთ თუ არა საშუალებას განახორციელოთ საკონფერენციო ზარები და რამდენ პირს შეუძლია მონაწილეობის მიღება.
1. იმისათვის, რომ განახორციელოთ საკონფერენციო ზარი, აკრიფეთ პირველი პირის ნომერი და შეეხეთ  რომ დარეკოთ.
 2. პირველ მონაწილეზე დარეკვის დროს, შეეხეთ  > დაამატე ზარი და ჩაწერეთ შემდეგი მონაწილის ტელეფონის ნომერი.
 3. შეეხეთ  ან აირჩიეთ კონტაქტი დანარეკი ზარებიდან ან კონტაქტებიდან. პირველი ზარი ავტომატურად გადავა ლოდინის რეჟიმში.
 4. როგორც კი დამატებით ზართან კავშირი შედგება, შეეხეთ  >. შეაერთეთ ზარები.
 5. იმისათვის, რომ დაამატოთ მეტი აბონენტი, შეეხეთ  და გაიმეორეთ 2 - 4 ნაბიჯები.
 6. იმისათვის, რომ დაასრულოთ საკონფერენციო ზარი და გაწყვიტოთ კონტაქტი ყველასთან, შეეხეთ .

შენიშვნა:

- მიმართეთ თქვენი ქსელის ოპერატორს, რომ გაიგოთ თქვენი გამოწერის ვარიანტი გაძლევთ თუ არა საშუალებას განახორციელოთ საკონფერენციო ზარები და რამდენ პირს დამატება შეგიძლიათ.

ზარებს შორის გადართვა

თუ მიიღებთ შემომავალ ზარს მიმდინარე სატელეფონო ზარის დროს, შესაძლებელია ერთიდან მეორე ზარზე გადართვა.

1. ორივე ზარის მიმდინარეობის დროს, შეეხეთ კონტაქტების სახელს ან ტელეფონის ნომერს ეკრანის ქვედა მარცხენა კუთხეში.
2. მიმდინარე ზარი გადავა მოცდის რეჟიმში და თქვენ დაუკავშირდებით სხვა ზარს.

კონტაქტები

კონტაქტების აპლიკაცია საშუალებას გაძლევთ შეინახოთ და მართოთ ინფორმაცია თქვენი კონტაქტების შესახებ.

კონტაქტების აპლიკაციის გახსნა

მოწყობილობის დაყენებისას, კონტაქტებზე დატანებული იქნება შეტყობინება იმის შესახებ, თუ როგორ შეგიძლიათ დაიმატოთ კონტაქტები.

იმისათვის რომ გახსნათ აპლიკაცია, შეასრულეთ ერთ-ერთი შემდეგი მოქმედება:


- შეეხეთ  ჯერ  და შემდეგ კონტაქტებს  შემდეგ შეეხეთ ყველას.
- შეეხეთ  საწყის ეკრანზე. შემდეგ შეეხეთ  ლილავს, რომ გამოიძახოთ კონტაქტების სია.

შენიშვნა:

- თქვენი კონტაქტები გამოჩნდება ანბანის მიხედვით გრძლივ სიაში.

კონტაქტების გადაწერა


თქვენ შეგიძლიათ დააკოპიროთ ან Google-ის ანგარიშზე შენახული ან SIM ბარათზე, შიდა მეხსიერებაში ან მეხსიერების ბარათზე არსებული თქვენი კონტაქტები.

1. კონტაქტების სიაში, შეეხეთ  > იმპორტს / ექსპორტს.
2. შეასრულეთ ერთ-ერთი შემდეგი მოქმედება:

1. იმისათვის, რომ გადმოიწეროთ კონტაქტები, რომლებიც Google-ის ანგარიშზეა შენახული:
 - აირჩიეთ პირადი ანგარიში და შეეხეთ 'შემდეგს'. მიუთითეთ, სად გინდათ კონტაქტების ჩაწერა და შეეხეთ 'შემდეგს'. შემდეგ შეარჩიეთ სასურველი კონტაქტ(ებ)ი და შეეხეთ OK-ს.
2. რომ გადმოიწეროთ კონტაქტები SIM ბარათიდან:
 - შეეხეთ USIM და შეეხეთ 'შემდეგს'. მიუთითეთ, სად გინდათ კონტაქტების ჩაწერა და შეეხეთ 'შემდეგს'. შემდეგ შეარჩიეთ სასურველი კონტაქტ(ებ)ი და შეეხეთ OK-ს.
3. იმისათვის რომ გადმოიწეროთ კონტაქტები შიდა მეხსიერებიდან ან მეხსიერების ბარათიდან:
 - შეეხეთ შიდა საზიარო მეხსიერებას ან SD ბარათს. მიუთითეთ, სად გინდათ კონტაქტების ჩაწერა და შეეხეთ 'შემდეგს'. თუ არსებობს ერთზე მეტი vCard ფაილი, გეძინებათ არჩევანი, რომ ან გადმოიწეროთ ერთი vCard ფაილი, მრავალჯერადი vCard ფაილი, ან ყველა vCard ფაილი.

კონტაქტების დაზღვევა

თქვენ შეგიძლიათ დააკოპიროთ თქვენი კონტაქტები თქვენს SIM ბარათზე, მოწყობილობის შიდა მეხსიერებაზე ან მეხსიერების ბარათზე.

1. კონტაქტების სიაში, შეეხეთ  > იმპორტს / ექსპორტს.
2. ახლა კი, შეასრულეთ ერთ-ერთი შემდეგი მოქმედება:



1. კონტაქტების SIM ბარათში გადმოსაწერად/გადასაწერათ:

აირჩიეთ პირადი ანგარიში ან შეეხეთ ტელეფონის კონტაქტს. შეეხეთ 'შემდეგს' > USIM. შემდეგ შეარჩიეთ სასურველი კონტაქტ(ებ)ი და შეეხეთ OK-ს.




2. იმისათვის, რომ გადაწეროთ კონტაქტები შიდა მეხსიერებიდან ან მეხსიერების ბარათიდან:

აირჩიეთ პირადი ანგარიში ან შეეხეთ ტელეფონის კონტაქტს. შეეხეთ შიდა საზიარო მეხსიერებას ან SD ბარათს > 'შემდეგი'. შემდეგ შეარჩიეთ სასურველი კონტაქტ(ებ)ი და შეეხეთ OK-ს. დადასტურების შეტყობინება გამოჩნდება, შეეხეთ OK-ს შერჩევის დასადასტურებლად.


ახალი კონტაქტის დამატება

1. კონტაქტების სიაში, შეეხეთ  რომ დაიმატოთ ახალი კონტაქტი.
2. კონტაქტის სახელი და შემდეგ დაამატეთ ნებისმიერი დეტალური ინფორმაცია, ისეთი როგორცაა ტელეფონის ნომერი ან მისამართი.
3. როდესაც დაასრულებთ, შეეხეთ  რომ შეინახოთ საკონტაქტო ინფორმაცია.

კონტაქტის თქვენს რჩეულებში დამატება



1. შეეხეთ  კონტაქტს, რომლის შეტანაც გსურთ რჩეულებში.
2. შეეხეთ  თქვენს არჩეულ კონტაქტთან ახლოს არსებულ იკონს და იკონი მიიღებს თეთრ ფერს (მკვრივი) . ის დაემატა თქვენს რჩეულებს.

კონტაქტის მოძებნა

1. კონტაქტების სიაში, შეეხეთ  რომ მოძებნოთ კონტაქტი.
2. დააჭირეთ კონტაქტების სახელს და შესაბამისი სახელების კონტაქტები გამოჩნდება საძიებო ველში.

კონტაქტის რედაქტირება


თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ შეიტანოთ ცვლილებები იმ ინფორმაციაში, რომელიც კონტაქტს დაატანეთ.

1. კონტაქტების სიაში, შეეხეთ იმ კონტაქტს, რომლის დეტალების შეცვლაც გსურთ.
2. შეეხეთ .
3. შეიტანეთ სასურველი ცვლილებები საკონტაქტო ინფორმაციაში და შემდეგ შეეხეთ . ყველა იმ ცვლილების გასაუქმებლად, რომელიც საკონტაქტო ინფორმაციაში შეიტანეთ, დააჭირეთ უკან დაბრუნების ღილაკს.


თქვენს კონტაქტებთან კომუნიკაცია

შეგიძლიათ მიიღოთ კონტაქტებზე წვდომა სატელეფონო ზარის, ტექსტური შეტყობინების (SMS) ან მულტიმედიაური გაზიარების (MMS) დროს კონტაქტების ან რჩეულების ღილაკზე დაჭერით.

1. თქვენს კონტაქტა სიაში, შეეხეთ კონტაქტს, რომ დაუკავშირდეთ.
2. თქვენ შეგიძლიათ:

- ან შეეხეთ ტელეფონის ნომერს, რომ გაუშვათ ზარი.
- ან, შეეხეთ  რომ გააგზავნოთ შეტყობინება.

კონტაქტის წაშლა

1. კონტაქტების სიაში, შეეხეთ იმ კონტაქტს, რომლის დეტალების შეცვლაც გსურთ.
2. შეეხეთ  > წაშლა.
3. შეეხეთ კვლავ წაშლას, რომ წაშალოთ.

ეკრანული კლავიატურის გამოყენება



კლავიატურის პანელის გამოჩენა

ზოგიერთი პროგრამა კლავიატურას ხსნის ავტომატურად. სხვა შემთხვევებში კი შეეხეთ ტექსტის ველს, რომ გახსნათ კლავიატურა. დააჭირეთ უკან დაბრუნების ღილაკს, რომ დამალოთ კლავიატურა.

ლანდშაფტური კლავიატურის გამოყენება

თუ გიძნელებათ კლავიატურის გამოყენება ვერტიკალურ ფორმაში, გადმოატრიალეთ ტელეფონი ჰორიზონტალურად. ეკრანზე გამოვა კლავიატურა ლანდშაფტური ორიენტაციით, რომელიც გთავაზობთ უფრო ფართო კლავიატურის განლაგებას.

თქვენი კლავიატურის პარამეტრების შეცვლა

1. შეეხეთ  > პარამეტრები  > ენები & შეყვანა.
2. თქვენ შეგიძლიათ:
 - შეეხეთ ვირტუალურ კლავიატურას, რომ მოახდინოთ კლავიატურის პარამეტრების კონფიგურაცია.
 - ან, შეეხეთ ფიზიკურ კლავიატურას ეკრანზე ვირტუალური კლავიატურის ეკრანზე დასატოვებლად. ეს რეჟიმი ასევე გიჩვენებთ ხელმისაწვდომ კლავიატურის მალსახმოებებს.




რეგისტრაცია

დაარეგისტრირეთ თქვენი ახალი Cat ტელეფონი, გახდით Cat ტელეფონების თანამეგობრობის ნაწილი სიახლეებისთვის, განახლებებისა და შეთავაზებებისთვის. შეეხეთ სარეგისტრაციო აპლიკაციას და მიჰყევით ეკრანზე მოცემულ ინსტრუქციებს

WI-FI®

თქვენი მოწყობილობისთვის უკაბელო წვდომის წერტილებზე (ცხელ წერტილებზე) წვდომის მისაღებად საჭიროა Wifi-ის გამოყენება.

WI-FI ინტერნეტის ჩართვა და უსადენო ქსელთან დაკავშირება

1. შეეხეთ  > პარამეტრები .
2. უსადენო & ქსელებში, შეეხეთ Wi-Fi-ს და გაასრიალეთ ჩამრთველი მარჯვნივ . აირჩიეთ Wi-Fi ქსელი, რომ შეუერთდეთ.
3. თუ აირჩევთ ღია ქსელს, მოწყობილობა ავტომატურად დაუკავშირდება მას. მაგრამ თუ თქვენ ცდილობთ პირველად დაუკავშირდეთ დაცულ ქსელს, თქვენ უნდა შეიყვანოთ პაროლი და შემდეგ შეეხეთ დაკავშირებას.

შენიშვნა:

- თქვენ არ დაგჭირდებათ პაროლის ხელახლა შეყვანა დაცული ქსელის შემთხვევაში თუ მასში ერთხელ უკვე ყოფილხართ შენაერთები, თუ რა თქმა უნდა მოწყობილობა არ გადაუტვირთავთ მის ნაგულისხმევ პარამეტრებზე ან თუ Wi-Fi პაროლი არ შეცვლილა.
- დაბრკოლებები, რომელიც Wi-Fi ინტერნეტის სიგნალს ბლოკავს, ამცირებს მის ძალას.

რჩევა: Wi-Fi-ის პარამეტრების ეკრანზე, შეეხეთ ქსელის დამატებას, რომ დაამატოთ ახალი Wi-Fi ქსელი.

SMS და MMS



მიმოწერის გახსნა

იმისათვის რომ გახსნათ აპლიკაცია, შეასრულეთ ერთ-ერთი შემდეგი მოქმედება:

- შეეხეთ  საწყის ეკრანზე.
- შეეხეთ  > მიმოწერას .

ტექსტური მესიჯის შექმნა და გაგზავნა






თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ახალი გზავნილი ან გახსნათ მიმდინარე გზავნილთა კონა.

1. შეეხეთ  რომ შექმნათ ახალი ტექსტი ან აუდიო-ვიდეო მესიჯი.
2. შეიყვანეთ ტელეფონის ნომერი ან საკონტაქტო სახელი 'სახელის ჩასაწერში' ან ნომრის სივრცეში. როდესაც წერთ, SmartDial შეეცდება, რომ შეუსაბამოს მოწყობილობის კონტაქტებს. ან შეეხეთ შემოთავაზებულ მიმღებს ან გააგრძელეთ წერა. თუ გასურთ გახსნათ არსებული შეტყობინების თემა, უბრალოდ შეეხეთ მას.
3. შეეხეთ ტექსტის ჩარჩოს, რომ დაწეროთ თქვენი გზავნილი. თუ გზავნილის წერის დროს დააჭირებთ უკან დაბრუნების ღილაკს, გზავნილი შეინახება როგორც შავად ნაწერი თქვენს გზავნილთა სიაში. შეეხეთ შეტყობინებას, რომ განაახლოთ.
4. როდესაც თქვენი შეტყობინება გასაგზავნად მზად იქნება, შეეხეთ .


შენიშვნა:

- იმ დროს როცა თქვენ ნახულობთ და აგზავნით დამატებით გზავნილებს, იქმნება გზავნილთა კონა.


მულტიმედიური გზავნილის შექმნა და გაგზავნა

1. შეტყობინებების ეკრანზე, შეეხეთ .
2. შეიყვანეთ ტელეფონის ნომერი ან საკონტაქტო სახელი 'სახელის ჩასაწერში' ან ნომრის ველში ან შეეხეთ  რომ დაამატოთ ტელეფონის ნომერი საკონტაქტო სიიდან.
3. შეეხეთ ტექსტის ჩარჩოს, რომ დაწეროთ თქვენი გზავნილი.
4. შეეხეთ  > დაამატეთ თემა, რომ დაამატოთ გზავნილის თემა.
5. როგორც კი ჩაწერთ თემას, მოწყობილობა ჩადგება გაგზავნის მულტიმედიურ რეჟიმში.
6. შეეხეთ  და აირჩიეთ იმ მედია ფაილის ტიპი, რომელიც გინდათ რომ დაურთოთ გზავნილს.
7. როგორც კი მზად იქნებით, შეეხეთ .

გზავნილის გახსნა და პასუხის გაცემა

1. გზავნილთა სიაში, შეეხეთ ტექსტის ან მულტიმედიის გზავნილთა კონას, რომ გახსნათ ის.
2. შეეხეთ ტექსტის ჩარჩოს, რომ დაწეროთ თქვენი გზავნილი.
3. როგორც კი მორჩებით, შეეხეთ .

გზავნილების პარამეტრების შეცვლა

გზავნილების სიაში, შეეხეთ  > პარამეტრებს, რომ შეცვალოთ გზავნილების პარამეტრები. აირჩიეთ:

- SMS ჩართულობა: მიუთითეთ ნაგულისხმევი SMS აპლიკაცია.
- ტექსტური შეტყობინება (SMS): ტექსტური შეტყობინების პარამეტრების კონფიგურაცია
- გზავნილის მისვლის მოთხოვნა: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ მოითხოვოთ გზავნილის მისვლის შეტყობინება ყოველ გზავნილზე რომელსაც აგზავნით.
- მართეთ SIM ბარათის გზავნილები: SIM ბარათზე შენახული შეტყობინებები.
- სწრაფი ტექსტის შედგენა: შეცვალოთ გზავნილის შაბლონი.
- SMS სერვისის ცენტრი: მიუთითეთ SMS სერვისის ცენტრის ტელეფონის ნომერი.
- SMS მესიჯების ადგილი: მიუთითეთ, სად უნდა შეინახოს გზავნილი.

მულტიმედიური შეტყობინება (MMS): მულტიმედიური შეტყობინებების პარამეტრების კონფიგურაცია

- ჯგუფური მიმოწერა: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ გააგზავნოთ ერთი MMS რამოდენიმე მიმღების მისამართით.
- გზავნილის მისვლის მოთხოვნა: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ მოითხოვოთ გზავნილის მისვლის შეტყობინება გზავნილზე რომელსაც აგზავნით.
- გზავნილის წაკითხვის მოთხოვნა: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ მოითხოვოთ წაკითხვის შეტყობინებები ყოველ გზავნილზე რომელსაც აგზავნით.
- გზავნილის წაკითხვის გაგზავნა: მონიშნეთ ყუთი, რომ გააგზავნოთ წაკითხვის ანგარიში, თუ ამას MMS გამგზავნი მოითხოვს.
- ავტომატური ხელახლა ცდა: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ ავტომატურად აღადგინოთ გზავნილები.
- ავტომატური ხელახლა ცდის როუმინგი: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ ავტომატურად აღადგინოთ გზავნილები როუმინგის დროს.
- ზომის ზღვარი: დააყენეთ MMS-ების მაქსიმალური ლიმიტი თითო საუბარზე.

შეტყობინებები: შეტყობინებების პარამეტრების კონფიგურაცია

- გზავნილების შეტყობინება: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ გამოაჩინოთ ახალი გზავნილი შეტყობინებების სტატუსის ზოლში.
- დადუმება: SMS ან MMS დროებითი დაბლოკვა.
- ხმა: დააყენეთ ზარის მელოდია ახალი შეტყობინებებისათვის.
- ვიბრაცია: მონიშნეთ მოსანიშნი უჯრა, რათა ჩართოთ ვიბრაცია თქვენს მოწყობილობაზე ახალი შეტყობინებების მიღებისას.
- Popup შეტყობინება: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ გამოაჩინოთ Popup შეტყობინება push შეტყობინებებისათვის

ზოგადი: ზოგადი შეტყობინებების პარამეტრების კონფიგურაცია




- წერილის შრიფტის ზომა: მიუთითეთ წერილის შრიფტის ზომა.
- ძველი გზავნილების წაშლა: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ წაშალოთ თქვენი ძველი გზავნილები როცა ლიმიტი იწურება.
- ტექსტური გზავნილების ლიმიტი: დააყენეთ ტექსტური გზავნილების მაქსიმალური ლიმიტი თითო საუბარზე.
- მულტიმედია გზავნილების ლიმიტი: დააყენეთ MMS-ების მაქსიმალური ლიმიტი თითო საუბარზე.
- მობილური მაუწყებლობა: დააყენეთ MMS-ების მაქსიმალური ლიმიტი თითო საუბარზე.
- ჩართეთ WAP PUSH: მონიშნეთ მოსანიშნი ველი, რომ შეძლოთ მომსახურების გზავნილის მიღება.

BLUETOOTH®

თქვენს Cat S41 გააჩნია ბლუთუზი. ის საშუალებას გაძლევთ შექმნათ უსადენო კავშირი სხვა ბლუთუზის მქონე მოწყობილობებთან, რომ შეძლოთ გაუზიაროთ თქვენი ფაილები თქვენს მეგობრებს, ისაუბროთ სადენიანი ყურსასმენების გარეშე ბლუთუზის გარნიტურით ან გადაიტანოთ თქვენი ფოტო ტელეფონიდან თქვენს კომპიუტერში.

თუ იყენებთ ბლუთუზს გახსოვდეთ, რომ დაიკავთ 10 მეტრის დისტანცია სხვა ბლუთუზ მოწყობილობებისაგან რომელთანაც გინდათ კავშირის დამყარება. იცოდეთ, რომ ისეთმა დაბრკოლებებმა, როგორც კედლები და ელექტრონული მოწყობილობები შეიძლება ხელი შეუშალოს თქვენს ბლუთუზ კავშირს.

ბლუთუზის ჩართვა

1. შეეხეთ  > პარამეტრები .
2. უსადენო & ქსელებში, შეეხეთ Wi-Fi-ს და გაასრიალეთ ჩამრთველი მარჯვნივ .


როდესაც ბლუთუზი ჩართულია, ბლუთუზის იკონი გამოჩნდება შეტყობინების ზოლში.

ბლუთუზის მოწყობილობის დაწყვილება და შეერთება

ბლუთუზის საერთო გამოყენებები:

- უსადენო ყურსასმენების ბლუთუზ მოწყობილობა.
- მონო ან სტერეო ბლუთუზ გარნიტურა.
- გააკონტროლეთ, თუ რას უსმენთ ბლუთუზ გარნიტურის მეშვეობით დისტანციურად.

სანამ ბლუთუზს გამოიყენებდეთ, თქვენ უნდა დაუკავშიროთ თქვენს მობილურ ტელეფონს სხვა ბლუთუზ მოწყობილობა შემდეგნაირად:



1. დარწმუნდით, რომ ბლუთუზის ფუნქცია თქვენს მობილურ ტელეფონში ჩართულია.
2. შემდეგ Cat S41 მოძებნის დიაპაზონში არსებულ ბლუთუზ მოწყობილობებს. ან შეეხეთ  > განახლება.
3. შეეხეთ იმ მოწყობილობას რომელსაც გსურთ, რომ დააკავშიროთ თქვენი მოწყობილობა.
4. კავშირის წარმატებით შესასრულებლად, მიყევით ეკრანზე მოცემულ მითითებებს.

შენიშვნა:

- როგორც კი დასრულდება დაწყვილება, თქვენ აღარ დაგჭირდებათ პაროლის შეყვანა, თუ კვლავ ამ ბლუთუზ მოწყობილობას დაუკავშირდებით.

ბლუთუზის მეშვეობით ფაილის გაგზავნა

ბლუთუზის მეშვეობით, შეგიძლიათ გაუზიაროთ სურათები, ვიდეოები ან მუსიკალური ფაილები თქვენს ოჯახს და მეგობრებს. ბლუთუზის მეშვეობით ფაილის გასაგზავნად:

1. შეეხეთ  ფაილს რომელიც გსურთ, რომ გააგზავნოთ.
2. შეეხეთ  > ბლუთუზს და შემდეგ აირჩიეთ დაწყვილებული მოწყობილობა.

ბლუთუზ კავშირის გაწყვეტა ან მოწყობილობების დაშორიშორება

1. შეეხეთ  > პარამეტრები .
2. უსადენო & ქსელებში, შეეხეთ ბლუთუზს.
3. დაკავშირებული მოწყობილობის ვარიანტში, შეეხეთ  და შემდეგ შეეხეთ დავიწყებას, რომ დაადასტუროთ კავშირის გაწყვეტა.

ფოტოების გადაღება და ვიდეოს ჩაწერა

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი CAT S41 სურათებისა და ვიდეოების გადაღებისა და გაზიარების მიზნით.




თქვენი კამერის გახსნა

იმისათვის რომ გახსნათ აპლიკაცია, შეასრულეთ ერთ-ერთი შემდეგი მოქმედება:





- შეეხეთ  საწყის ეკრანზე.
- შეეხეთ  > კამერას .

დააჭირეთ უკან დაბრუნების ან მთავარი ეკრანის ღილაკს, რომ დახუროთ კამერა.

ფოტოს გადაღება

1. შეეხეთ  > კამერას .
 - სტანდარტულად ის იხსნება კამერის რეჟიმში. თუ არა და გადაასრიალეთ ეკრანი მარცხნივ სანამ ვიდეო კამერის ჩამკეტი იკონი  არ გამოჩნდება ეკრანის ბოლოს.
 - თუ გსურთ ჩართოთ თქვენი თავი ფოტოში, დააჭირეთ A-ს ზედა მარცხენა კუთხეში და აირჩიეთ PIP რათა გაააქტიუროთ ორთავე კამერა ერთდროულად.

შენიშვნა:


- შეეხეთ, რომ  გადართოთ 8მპ-იან წინა და 13მპ-იან უკანა კამერას შორის.
- 2. შექმენით თქვენი ფოტო, ფოტო გადაღების ეკრანით, სანამ სურათს გადაიღებდეთ.
 - შეეხეთ ეკრანს, რათა მოახდინოთ კონკრეტულ ზონაზე ფოკუსირება.
 - გაშალეთ თითქმის ეკრანი ზუმის სუბიექტზე დასახლოვებლად/დასაშორებლად.
 - შეეხეთ  რომ შეცვალოთ კამერის პარამეტრები; აირჩიეთ მოქმედების ადგილის რეჟიმი, დააყენეთ უკუ-მთვლელი, შეცვალეთ თეთრის ბალანსი, შეცვალეთ ISO, შეცვალეთ საწინააღმდეგო ფლიქერი ან შეცვალეთ გამოსახულების თვისებები.
 - შეეხეთ  რომ დააყენოთ ფილტრის ეფექტი.
 - 3. შეეხეთ  რომ გადაიღოთ სურათი.

შენიშვნა:



- კამერის აპლიკაციაში ასევე შეგიძლიათ ფოტოების გადაღება ხმის აწყვეტის დამწვევზე დაჭერით.

ფოტოების ნახვა

თქვენი ფოტოების სანახავად, შეგიძლიათ შეასრულოთ ერთ-ერთი შემდეგი მოქმედება:

- როდესაც კამერის აპი გაქვთ ჩართული, შეეხეთ ბოლოს გადაღებული ფოტოს მინიატურას რომელიც მდებარეობს -ის გვერდზე.





შენიშვნა:

- კამერის რეჟიმზე დასაბრუნებლად, დააჭირეთ უკან დაბრუნების ღილაკს ან გადაასრიალეთ მარჯვნივ სანამ გახსნილი კამერა არ გამოვა ეკრანზე.
- შეეხეთ  >  ფოტოებს, რათა ნახოთ თქვენი ყველა ფოტო და ვიდეო.




დაარედაქტირეთ და გააზიარეთ ფოტოები

ფოტოების დათვალიერების დროს, ხელმისაწვდომია შემდეგი ფუნქციები:








-

- რედაქტირება: შეეხეთ  და დაარედაქტირეთ თქვენი ფოტოები არსებული პარამეტრების ფართო სპექტრით.
- გააზიარეთ: შეეხეთ  და გააზიარეთ თქვენი ფოტოები სხვადასხვა აპლიკაციების მეშვეობით რომელიც ხელმისაწვდომია თქვენს მოწყობილობაში.
- წაშლა: შეეხეთ  რომ წაშალოთ ის ფოტოები რომელიც არ მოგწონთ.
- ნახეთ ინფორმაცია: შეეხეთ  რომ ნახოთ სურათის ინფორმაცია.

ვიდეოს გადაღება



1. შეეხეთ  > კამერას .
2. გადაასრიალეთ ეკრანი მარცხნივ სანამ ვიდეო ჩამკეტის იკონი  არ გამოჩნდება ეკრანის ბოლოს.

შენიშვნა:






- შეეხეთ  გადართოთ 8მპ-იანი წინა, 13მპ-იანი უკანა კამერებს შორის.
- შეეხეთ  რომ დააყენოთ ფონის ეფექტი.
- 3. შეეხეთ  რომ დაიწყოთ ჩაწერა.
- 4. ჩაწერის დროს, შეასრულეთ ერთ-ერთი შემდეგი მოქმედება:
 - გაშალეთ ოთხეხუთე ეკრანი ზუმის სუბიექტზე დასახლოვებულად/დასაშორებლად.
 - შეეხეთ  რომ დაიწყოთ ჩაწერა. გასამეორებლად, შეეხეთ .
 - შეეხეთ  რომ გადაიღოთ სურათი.
 - შეეხეთ  რომ შეაჩეროთ ჩაწერა.

თქვენი ვიდეოს ნახვა

ჩაწერის შემდეგ, ვიდეოს სანახავად, შეეხეთ ეკრანის ბოლოში მარცხნივ, ბოლოს ჩაწერილი ვიდეოს მინიატურას. შემდეგ, შეეხეთ რომ ჩართოთ თქვენი ვიდეო.

- შეეხეთ  >  ფოტოებს, რათა ნახოთ თქვენი ყველა ფოტო და ვიდეო.



პანორამული ფოტოს გადაღება

1. შეეხეთ  > კამერას .
 2. შეეხეთ რეჟიმის მენიუში ნარინჯისფერი იკონის მინიატურა A-ზე შეეხებით ეკრანის მარცხენა ზედა ნაწილში და აირჩიეთ პანორამა.
 3. შეეხეთ  რომ დაიწყოთ გადაღება.
 4. აირჩიეთ ის მიმართულება, რომელიც გსურთ რომ გადაიღოთ. შემდეგ გადაადგილეთ ნელა მოწყობილობა სასურველი მიმართულებით.
 5. როდესაც გადაღების სახელმძღვანელო მიაღწევს საბოლოო წერტილს, გადაღება დამთავრებულია. თქვენით რომ შეწყვიტოთ გადაღება შეეხეთ .
- რჩევა: გადაღების შესაწყვეტად, უბრალოდ შეეხეთ .

ფოტოს გამოყენება

თქვენი ფოტოების აპლიკაციას შეუძლია ავტომატურად მოძებნოს სურათები და ვიდეოები, რომელიც ინახება თქვენს ტელეფონში ან მეხსიერების ბარათში. აირჩიეთ ალბომი/საქადალდე და აჩვენეთ ის როგორც სლაიდების შოუ ან აირჩიეთ ობიექტი, რომ გააზიაროთ სხვა პროგრამებით.

ფოტოების გახსნა




შეეხეთ  > ფოტოებს  რომ გახსნათ აპლიკაცია. Google Photos აპლიკაცია ალაგებს თქვენს სურათებს და ვიდეოებს მეხსიერების ადგილების მიხედვით და ახარისხებს ამ ფაილებს საქადალდეებში. შეეხეთ საქადალდეს, რომ ნახოთ შიგნით არსებული სურათები და ვიდეოები.

ფოტოების ნახვა

1. ფოტოებში, შეეხეთ საქადალდეს, რომ დაათვალიეროთ მასში არსებული ფოტოები.
2. შეეხეთ სურათს, რომ ნახოთ სრული ეკრანის რეჟიმში. როდესაც ათვალიერებთ სურათს სრული ეკრანის რეჟიმში, გადაშალეთ სურათი მარცხნივ ან მარჯვნივ, რომ ნახოთ წინა ან მომდევნო სურათი.
3. სურათის დასახლოვებლად, გადაადგილეთ ორივე თითი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ეკრანის იმ ნაწილში სადაც გსურთ რომ დაახლოვოთ. ზუმის რეჟიმში, აასრიალეთ თითი ზემოთ ან ქვემოთ და მარცხნივ ან მარჯვნივ.

რჩევა: სურათის საჩვენებელს გააჩნია ავტომატური როტაციის ფუნქცია. როდესაც მოწყობილობას ატრიალებთ, სურათი თავად რეგულირდება როტაციაზე.

სურათის ჩამოჭრა ფოტოების შემთხვევაში

1. თუ სურათის ნახვისას მისი ჩამოჭრა მოგიწოდებთ, შეეხეთ  > .
2. შემდეგ შეეხეთ ჩამოჭრას და გამოიყენეთ ჩამოჭრის ინსტრუმენტი, რომ აირჩიოთ სურათის ის ნაწილი რომლის ჩამოჭრაც გსურთ.
- გადაიტანეთ ჩამოჭრის ინსტრუმენტის შიგნით, რომ გადაადგილოთ ის.
- გადაიტანეთ ჩამოჭრის ინსტრუმენტის კიდე ან კუთხე, რომ შეცვალოთ სურათის ზომა.
3. შეეხეთ დასრულებას > შენახვას რომ შეინახოთ ჩამოჭრილი სურათი.
- ცვლილებების გასაუქმებლად, შეეხეთ  > გაუქმებას.

მუსიკით ტკბობა

მუსიკის ფაილები შეიძლება გადაიზაფხონ კომპიუტერის მეშვეობით თქვენს Cat S41-ზე, ისე რომ თქვენ შეძლოთ თან მუსიკას მოუსმინოთ, სადაც არ უნდა იყოთ.



მუსიკის თქვენს მოწყობილობაში გადაწერა

1. შეერთეთ თქვენი მოწყობილობა კომპიუტერთან USB დენის კაბელით.
2. კომპიუტერში, შედით USB დრაივში.
3. შექმენით საქადალდე ძირულ დირექტორიაში (მაგალითად, მუსიკა).
4. დააკოპირეთ თქვენი მუსიკა კომპიუტერიდან ახალ საქადალდეში.
5. თქვენი მოწყობილობის კომპიუტერიდან უსაფრთხოდ ამოსაღებად, დაელოდეთ მუსიკის ბოლომდე გადაწერას, შემდეგ გამოიღეთ დისკი ისე, როგორც ამას მოითხოვს თქვენი კომპიუტერის ოპერაციული სისტემა.









FM რადიოზე მოსმენა

შეგიძლიათ FM რადიო-ტალღის მოსმენა FM რადიო აპლიკაციით.

FM რადიო-ტალღის დაჭერა


პირველ რიგში, აპლიკაციის გახსნამდე, შეერთეთ ყურსასმენები ხმის შესაერთებელში. შემდეგ შეეხეთ  > FM რადიო .

აირჩიეთ შემდეგი პარამეტრებიდან:

- FM რადიო-ტალღის მოსასმენად, შეეხეთ .
- რადიო-ტალღის ასარჩევად, შეეხეთ  ან .
- სიხშირის ხელით დასაყენებლად, შეეხეთ  ან .
- მიმდინარე რადიო-ტალღის თქვენს რჩეულობში დასამატებლად, შეეხეთ .
- FM რადიოზე ხმის გამოსართავად, შეეხეთ . შემდეგ შეეხეთ  გასამეორებლად.
- დინამიკების ჩასართავად, შეეხეთ  > დინამიკები.
- არსებული არხების სკანირებისთვის, შეეხეთ  > განახლება.
- რადიოს გამოსართავად გამოაძვრეთ ყურსასმენები.

FM რადიოს ჩაწერა

რადიოს ჩასაწერად, მოიქეცით შემდეგნაირად:

- იმისათვის, რომ დაიწყოთ ჩაწერა, შეეხეთ  > ჩაწერის დაწყება.
- იმისათვის, რომ შეწყვიტოთ ჩაწერა, შეეხეთ ჩაწერის შეწყვეტას. შემდეგ შეიყვანეთ ფაილის სახელი და შეეხეთ შენახვას ჩაწერილი ფაილის შესანახად.

ინფორმაციის სინქრონიზაცია



ზოგიერთი აპლიკაცია (მაგალითად, Gmail) თქვენს Cat S41-ში გაძლევთ წვდომას იგივე ინფორმაციაზე, რომელიც შეგიძლიათ, დაიმატოთ, ნახოთ და შეცვალოთ თქვენს კომპიუტერში. თუ დაამატებთ, შეცვლით, ან წაშლით ინფორმაციას ნებისმიერ ამ აპლიკაციაში კომპიუტერში, განახლებული ინფორმაცია ასევე, გამოჩნდება თქვენს მობილურ ტელეფონში. ეს შესაძლებელია ზე-ჭაერის სინქრონიზაციის მონაცემების მეშვეობით, თუმცა პროცესი არ შეაფერხებს მოწყობილობას. როდესაც თქვენი ტელეფონი სინქრონიზაციის პროცესშია, მონაცემთა სინქრონიზაციის იკონი გამოვა შეტყობინების ზოლში.

ანგარიშების მართვა

თქვენ შეგიძლიათ კონტაქტების, ელ-ფოსტის და სხვა ინფორმაციის სინქრონიზაცია თქვენს მობილურ ტელეფონში მრავალი Google-ის ან სხვა ანგარიშებით, რაც დამოკიდებულია იმ აპლიკაციებზე, რომელიც თქვენს მობილურ ტელეფონშია დაინსტალირებული.

მაგალითად, პირადი Google ანგარიშის დამატებით შეგიძლიათ უზრუნველყოთ, რომ თქვენი პირადი ელ. ფოსტა, კონტაქტები და კალენდარული ჩანაწერები ყოველთვის ხელმისაწვდომი იქნება. შემდეგ შეგიძლიათ დაამატოთ სამუშაოს ანგარიში, ისე, რომ თქვენს სამუშაოსთან დაკავშირებული ელ. ფოსტა, კონტაქტები და კალენდარული მასალა იყოს ცალკე.

ანგარიშის დამატება

1. შეეხეთ  > პარამეტრები .
2. შეეხეთ ანგარიშები > ანგარიშის დამატება. ეკრანზე გამოვა თქვენი მიმდინარე სინქრონიზაციის პარამეტრები და თქვენი მიმდინარე ანგარიშების სია.


შენიშვნა:

- ზოგიერთ შემთხვევაში, თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ ანგარიშის დეტალების მიღება ქსელის ადმინისტრატორის მხარდაჭერიდან. მაგალითად, თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ ანგარიშის დომენის ან სერვერის მისამართის ცოდნა.
3. შეეხეთ ანგარიშის ტიპს, რომ დაამატოთ თქვენი ანგარიში.
 4. მიყევით ეკრანზე არსებულ ინსტრუქციებს, რომ შეიყვანოთ ინფორმაცია ანგარიშის შესახებ. ანგარიშების უმეტესობა მოითხოვს სახელს და პაროლს, თუმცა დეტალები დამოკიდებულია იმ ანგარიშის და მომსახურების კონფიგურაციაზე, რომელთანაც გაქვთ კავშირი.
 5. როდესაც დაასრულებთ, ანგარიში დაემატება სიას ანგარიშის პარამეტრების ეკრანზე.

ანგარიშის მოხსნა

თქვენ შეგიძლიათ მოხსნათ ანგარიში და მასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია, მათ შორის ელ. ფოსტა, კონტაქტები, პარამეტრები, და ასე შემდეგ. თუმცა ზოგიერთი ანგარიშის მოხსნა შეუძლებელია, ისეთის მაგალითად რომლითაც პირველად შედით თქვენს მოწყობილობაში.

თუ შეეცდებით, რომ მოხსნათ ზოგიერთი ანგარიში, უნდა იცოდეთ, რომ ყველა ასოცირებული პირადი ინფორმაცია წაიშლება.



